



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

მევენახეობა-მელვინეობის ფაკულტეტი

ქართული მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა

0888.1.1

მოდულიზებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 01-2024

17 აპრილი, 2024 წელი

1.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2.უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

3.საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

5. ვიწრო სფერო

სოფლის მეურნეობა

6.დეტალური სფერო

ინტერდისციპლინური - მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყვეობას, მეთევზეობას, ვეტერინარიას

7. სწავლის სფერო

მევენახეობა და მეღვინეობა

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

240 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

4 წელი, 8 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11.სწავლების ენა

ქართული

12.მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი

Bachelor of Agricultural Sciences

13. პროგრამის ხელმძღვანელი

ოლან გოცირიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14. პროგრამის თანახელმძღვანელი

დავით მადრაძე, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მოწვეული ლექტორი.

15. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე.

16. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას**;
- I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა**;
- II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა**.

აქედან:

ა) **1-15 კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია-სემინარები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვა და ა.შ.

ბ) **მე-16 – მე-18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე-19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

17. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

აღზარდოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება საბაზისო თეორიული განათლება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ცოდნა, პატივისცემა და სიყვარული ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების, სურვილი და შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.

პროგრამის მიზანია:

სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს: ვაზის კულტურის და ღვინის დაყენების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და თანამედროვე სისტემები, ქართული და უცხოური მევენახეობა-მეღვინეობის ყველა ეტაპი მსოფლიოში უკვე დამკვიდრებული თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება „ღვინო მიწიდან მაგიდამდე“;

მაღალხარისხიანი სუფრის ღვინოების დამზადების საერთო ოპერაციები და სხვადასხვა ტიპის ღვინოების დამზადების თანამედროვე სქემები;

ყურძნის გადამუშავების, დაღვინების, ახალგაზრდა ღვინის ფორმირების, დამუშავების დროს მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური გარდაქმნები და გამოყენებული ტექნოლოგიური მეთოდები;

უზრუნველყოს დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია და შრომითი საქმიანობის წარმართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც იძლევა მათი დასაქმების შესაძლებლობას მევენახეობისა და მეღვინეობის ინდუსტრიაში მოქმედი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში.

პროგრამის მიზანია ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიის, ქვევრის დამზადების ტრადიციული და თანამედროვე, ინოვაციური მექანიზმული მეთოდების სწავლება.

18. სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის და ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, კულტურული და სამეურნეო ტრადიციები, მევენახეობის ზონები და ტერუარები; • მევენახეობა-მეღვინეობის სავენახე ფართობების შერჩევა, ვენახების გაშენების ძირითადი სქემები და დიზაინი, აგროტექნოლოგიური, ფიტოსანიტარული და სტრესული ფაქტორებისადმი მედეგობის ღონისძიებები, რთველის სწორი დაგეგმა; • მაღალხარისხიანი სუფრის ღვინოების, ცქრიალა ღვინის დამზადების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიური სქემები; • ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ხარისხობრივი მაჩვენებლების განმსაზღვრელი ქიმიური, ფიზიკური და ორგანოლექტიკური შეფასების მეთოდები.
<p>უნარი</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალი სავენახე ნაკვეთების, ე.წ. “ტერუარების“, ნიადაგების, ვაზის ჯიშთა შეფასებისა და შერჩევის, ვენახის გაშენებისა და დიზაინის, აგროტექნოლოგიური ღონისძიებების დაგეგმვის, ვენახის ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების შემუშავების უნარი; • ყურძნის გადამუშავების, ღვინის ფორმირების, დამუშავების და დავარგების დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური, ბიოქიმიური გარდაქმნების კონტროლის და მართვის უნარი; • პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი და დამხმარე მასალების შერჩევისა და შეფასების, ნედლეულის აღრიცხვის, ტექნოლოგიური გაანგარიშებების, ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ავტონომიურად განახორციელოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვენახის გაშენების, ვაზის ფორმირების, მწვანე ოპერაციების, ნიადაგის განაყოფიერების, ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები; • საწარმოში გამოყენებული აპარატურა-დანადგარების და მოწყობილობების ექსპლუატაცია; • ვინიფიკაციის პროცესის კონტროლი და მართვა.
--	---

19. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა – 240 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები: 180 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (საბაზისო) სასწავლო კურსები – 45 კრედიტი;
- სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 113 კრედიტი;

არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი,

მათ შორის:

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი;
- თავისუფალი კრედიტები - 20 კრედიტი.

20. სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები:

ვერბალური - თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია;

წერიტი - პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან;

ასევე,

დუალური - სინთეზური, პრაქტიკაზე დაყრდნობილი თეორიული ცოდნის მიღების მეთოდი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება, მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.)

ისე სხვადასხვა მეთოდების კომბინირება, მაგალითად:

ლექციებზე - მოსმენა და ჩანაწერის გაკეთება;

ჯგუფში მუშაობისას - ვერბალური (შესწავლილ თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და დისკუსიები/დებატები, პრეზენტაციის/მოხსენების წარდგენა), **წერითი** (დავალების/პრეზენტაციის მომზადება), **პრაქტიკული სწავლების მეთოდი, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება** (კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით გაფორმებული/ილუსტრირებული მოხსენებები/პრეზენტაციები და ა.შ.).

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული სწავლების მეთოდები, დისკუსია-დებატები, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (**PBL**), თანამშრომლობითი სწავლება (**cooperative**), შემთხვევის ანალიზი (**Case study**), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, სტუდენტთა მოტივაცია, სტუდენტთა მიერ ცოდნა-მომზადების ურთიერთშემოწმება (მეთოდიკა "პედაგოგიური როლები სტუდენტებისათვის" და მეთოდიკა "ინტერვიუ წყვილებში").

21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;

- თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;
- შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.
- დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 16 ქულის ტოლია;
- დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

მაქსიმალური დადებითი შეფასება - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერიტი ქვიზების შესრულება, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) – 30–34 ქულა;

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 6–10 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება).
0-40 ქულა	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

22. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

23. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევათ შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება.

24. კვალიფიკაციის / ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

25. დასაქმების სფერო

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისად უნდა შეძლოს დასაქმება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სხვადასხვა პროფილის დაწესებულებებში, როგორებიცაა:

- ვაზის სანერგე მეურნეობები;
- მევენახეობის მეურნეობები;
- აგროგანვითარების სფეროს საკონსულტაციო ცენტრები;
- საკოლექციო ნაკვეთების გაშენება-პროექტირების ბიუროები;
- აგროეკოლოგიური, ვაზის დაცვის სამსახურები;
- სხვადასხვა მასშტაბის მარნები და საოჯახო მეურნეობები;
- ღვინის, ბრენდის, ჭაჭის და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქარხნები და კომპანიები;
- ღვინის სახლები, დაკავებული კომერციული საქმიანობით და სომელიეს მომსახურებით;
- ღვინის ტურიზმით დაკავებული კომპანიები;
- ყურძნისა და ალკოჰოლური სასმელების ხარისხის კონტროლის აკრედიტებული ლაბორატორიები;
- დარგის მართვის სახელმწიფო და საჯარო უწყებები.

26. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს, სურვილის მიხედვით სწავლა განაგრძოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის სამაგისტრო პროგრამაზე და საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრარული მეცნიერებების მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ მასზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სწავლის სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.



კომპეტენციათა რუკა

სასწავლო კურსი	კომპეტენციები		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა-1 / ინგლისური-1 დამწყებთათვის	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	X
კომპიუტერული უნარები	X	X	X
ინგლისური ენა-2 / ინგლისური-2 დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური-3 დამწყებთათვის	X	X	
წერის უნარები	X	X	
ზოგადი და არაორგანული ქიმია	X	X	X
ფიზიკა	X	X	X
ვაზის ანატომია და ფიზიოლოგია	X	X	X
ორგანული ქიმია	X	X	X
ნიადაგმცოდნეობა	X	X	X
ანალიზური ქიმია	X	X	X
ვაზისა და ღვინის მიკრობიოლოგია	X	X	X
ვაზისა და ღვინის ბიოქიმია (საფუძვლები)	X	X	X
აგროქიმიის საფუძვლები	X	X	X
მევენახეობა-1 (ამპელოგრაფია)	X	X	X
მევენახეობა-2 (აგროტექნოლოგია)	X	X	X
პროფესიული ინგლისური-1/ პროფესიული ინგლისური-1 დამწყებთათვის	X	X	
ენოქიმიის საფუძვლები	X	X	X
ვაზის მავნებელ დაავადებათა ინტეგრირებული მართვა	X	X	X
ვაზის სელექცია – გენეტიკის საფუძვლები	X	X	X
ენოლოგია-1 (ღვინის კლასიკური ტექნოლოგია)	X	X	X
მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობა	X	X	X

პროფესიული ინგლისური-2 / პროფესიული ინგლისური-2 დამწყებთათვის	X	X	
ენოლოგია-2 (ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები)	X	X	X
მეღვინეობის პროდუქციის ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი	X	X	X
ცქრიალა ღვინის ტექნოლოგია	X	X	X
საწარმოო პრაქტიკა მევენახეობის აგროტექნოლოგიაში		X	
ბრენდის ტექნოლოგია	X	X	X
მეღვინეობის საწარმოო პრაქტიკა		X	
სპეციალური ღვინოების (შემავრებული, არომატიზებული, ხილ-კენკროვანი) ტექნოლოგია	X	X	X
ვაზისა და ღვინის სამართალი	X	X	X
მიკროვინიფიკაციის პრაქტიკული კურსი		X	
ღვინის ორგანოლექტიკური შეფასების თეორია და პრაქტიკა	X	X	X
მეღვინეობის საწარმოთა ინჟინერია	X	X	X
სურსათის უვნებლობა	X	X	X
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ამერიკული ლიტერატურა (კოლონიალური საწყისებიდან დღემდე)	X	X	
პოლონური ენა-1	X	X	
ესპანური ენა-1	X	X	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა	X	X	
მსოფლიო კინოს ისტორია	X	X	
მეტყველება და საჯარო გამოსვლები	X	X	
მსოფლიო ლიტერატურა - თანამედროვე რომანი	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X	X	

ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	
პოლონური ენა-2	X	X	
ესპანური ენა-2	X	X	X
ღვინის ტურიზმი	X	X	X
ფრანგული ენა-1	X	X	
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X
სასუფრე ყურძნის მოყვანის აგროტექნოლოგია	X	X	X
მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X
ფრანგული ენა-2	X	X	
აგროეკოლოგია	X	X	X
ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები	X	X	X
პროფესიული ფრანგული -1	X	X	
ვაზისა და ყურძნის სამრეწველო ნარჩენების გამოყენების თანამედროვე მიმართულებები	X	X	X
მაგარი სასმელების ტექნოლოგია	X	X	X
პროფესიული ფრანგული -2	X	X	
ღვინის საწარმოთა ეკონომიკა	X	X	X
უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია	X	X	X
ISO სერტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფა	X	X	X
ორგანული მევენახეობა-მელვინეობა	X	X	X
ღვინის ბრენდინგი	X	X	X
ღვინის საწარმოთა დაგეგმარება	X	X	X

